ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომის

ო ქ მ ი N 24

8 აპრილი , 2024 წელი, 17:00 საათი

სხდომის ჩატარების ადგილი:

ქალაქი ქუთაისი,რუსთაველის გამზირი N3,
ადგილობრივი თვითმმართველობის შენობის მე–2
სართულზე არსებული საკონფერენციო დარბაზი

ფრაქციის სხდომას ხელმძღვანელობდა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ფრაქციის წევრები: ნიჟარაძე მარეხი, შენგელია ირაკლი,მამასახლისი ზაქრო, ჩიხლაძე მანანა, სიმონიძე მაია, მახარაძე ბაქარი,ლილუაშვილი პაატა, ხამაშურიძე ბესიკი, კოპალეიშვილი ამირანი, ნადირაძე თემური,ბიბილეიშვილი ჯემალი, გიორგაძე მიხეილი.

სულ ესწრებოდა: 12 წევრი.

არ ესწრებოდნენ: ჯუღელი თეა, კოსტავა მაგდა,რიჟამაძე მამუკა, ბასილაძე გია ,მხეიძე დიმიტრი.

სულ: 5 წევრი.

სხდომაში მონაწილეობდნენ: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ბატონი **ანტონ ჩიხლაძე**. ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი.**

სხდომა გახსნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა **მარეხი ნიჟარაძემ.**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : **ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი საკრებულოს**

ფრაქცია „ქართული ოცნების“

N24 სხდომის დღის

წესრიგის პროექტის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ N24 სხდომის **დღის წესრიგის** შემდეგი პროექტი:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი ანტონ ჩიხლაძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის
განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი

ქ. ქუთაისის მინიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების
,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის
სამსახურის ხელმძღვანელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარეხი ნიჟარაძემ ფრაქციის N24 სხდომის დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

1. **მ ო ი ს მ ი ნ ე ს:** დღის წესრიგის საკითხი- ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ბატონი ანტონ ჩიხლაძე

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის
განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის მიერ 2024 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

ქალბატონი თინათინ ბერიშვილი

ქ. ქუთაისის მინიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების
,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის
სამსახურის ხელმძღვანელი

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა: ქ.ქუთაისის მერიის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმზღვანელმა, ბატონმა **ანტონ ჩიხლაძემ:** „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ სერიოზული ღონისძიებები განხორციელდა 2024 წლის 3 თვეში მუნიციპალური და ინფრასტრუქტურული პროგრამების შესრულების მიზნით, კერძოდ:

საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში დასრულებულია:

ილ. ჭავჭავაძის გამზირის ტროტუარების რეაბილიტაცია და მოაჯირების მოწყობა (საქართველოს მთავრობის #2435 განკარგულება); კ. გამსახურდიას ქუჩის მე-18 შესახვევის გზის რებილიტაცია.

მიმდინარეობს:

პეტრიწის ქუჩის მეორე შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28.); ავალიანის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); ლესელიძის ქუჩაზე, ჯომარდობის გამშვებ პუნქტთან მისასვლელი გზის მოწყობა. (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); გოჭოურას" სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოწყობა (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); ვაჟა-ფშაველას ქუჩის #2-დან #14-ის ჩათვლით გზის რეაბილიტაცია. (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28); ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრთან მისასვლელი გზა (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28); შერვაშიძის ქ. #55-თან (დევნილთა დასახლება) მისასვლელი გზა (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); ონის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28);

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე შეკეთების პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ასფალტის, ბეტონის საფარის, გრანიტისა და დეკორატიული ფილების საფარის შეკეთების სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს ბუნებრივი სასულეების ექსპლოატაცია, სადაც პერიოდულად ხდება ბუნებრივი სასულეების ყელის გაწმენდა და რეაბილიტაცია 70,0 ათასი ლარის ფარგლებში.

დასრულებულია:

ცახელის ქუჩის სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია; დ. ყიფიანის ქუაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია; ბორის ბუკიას ქუჩის #34 და #36 ნომრების წინ სანიაღვრე სისტემის მოწყობა

მიმდინარეობს:

კოლხეთის ქუჩის ღვარსადენის მშენებლობა (საქართველოს მთავრობის განკარგულებ # 2402 . 2023.12.28); ნიკეას ქუჩის მე-2 შესახვევში სანიაღვრე ქსელის მოწყობა (საქართველოს მთავრობის განკარგულებ # 2402 . 2023.12.28); ლესელიძის ქუჩის #78-თან სანიაღვრე ქსელის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულებ # 2402 . 2023.12.28)

მიმდინარეობს:

"შ. რუსთაველის გამზირის №24 ბინის მიმდებარედ და შ. რუსთაველის გამზირის №10-ის (ს.კ. 03.02.26.022 - 03.02.26.227) საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; წერეთლის ქუჩის N161 (თამარას ღელე) საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები; ჭონქაძის ქუჩის N1, N3 და N3ა საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

"ბუხაიძის ქუჩაზე (ს/კ 03.04.21.292) და ბუხაიძის ქუჩის მეორე შესახვევში სკვერების მოწყობა(ს/კ 03.01.22.331) (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); ნიკეას ქუჩის II შესახვევი N3-7ა სკვერის მოწყობა (საქართველოს მთავრობის განკარგულებ

2402 . 2023.12.28); ნიკეას ქუჩის II შესახვევი N6-ის სკვერის მოწყობა (საქართველოს მთავრობის განკარგულებ # 2402 . 2023.12.28); სამი ოთარისა და მაიაკოვსკის მონუმენტის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402 . 2023.12.28); ავტოქარხნის სკვერის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/122022 წლის №2435 განკარგულება).

ასევე, მიმდინარეობს ქალაქის გამწვანება, მოვლა–პატრონობა და ექსპლატაციის სამუშაოები .პროგრამის ფარგლებში დასრულებულია:

ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია.; დავით კაკაბაძის სამხატვრო გალერეაში საგამოფენო დარბაზის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მიმდინარეობს: ციფრული განათლებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ცენტრის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/12/2022 წლის N2435 განკარგულება); ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის N18 ფილიალის რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს:

ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის ნაცვლად, რეკრეაციული ინფრაქტრუქტურის (მულტიფუნქციური საგამოფენო სივრცე) მოწყობა (საქართველოს მთავრობის 16.08.2021 წლის №1419 განკარგულება); ქალაქ ქუთაისში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის (ოქროს ჩარდახი) რესტავრაცია – რეაბილიტაციის სამუშაოები .

პროექტის ფარგლებში დასლებულია: შოთა რუსთაველის გამზირის №96 ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/12/2022 წლის №2435 განკარგულება); ასათიანის ქუჩის №139 მრავალსართულიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 29/12/2022 წლის №2475 განკარგულება);

მიმდინარეობს: ივანე ჯავახიშვილის ქუჩის №1 და №2 სახლების ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/12/2022 წლის №2435 განკარგულება); რუსთაველის გამზირის N24 სახლის ფასადისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის 26/12/2022 წლის №2435 განკარგულება); ასათიანის ქუჩის N94 ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28) ; შოთა რუსთაველის გამზირის N108 სახლების ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28); შოთა რუსთაველის გამზირის N116-118 სახლების ფასადების რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28);შოთა რუსთაველის გამზირის N27 სახლის ფასადის რეაბილიტაცია (საქართველოს მთავრობის განკარგულება # 2402. 2023.12.28)

მიმდინარეობს:

გაფრინდაშვილის ქუჩის მეორე ჩიხის საგზაო ინფრაქტრუქტურის რეაბილიტაცია; "წყალტუბოს ქუჩიდან „გოჭოურას" სასაფლაოსკენ მისასვლელისა და გაფრინდაშვილის ქუჩის მეოთხე ჩიხის #3-ის მიმდებარედ ეროზიული ფერდების დამაგრების ღონისძიებების სამუშაოები.

2024 წლის 6 თებერვალს ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული შენობების სახურავების რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების გადაცემის მიზნით შპს „პრემიერი"-ს 07.02.2024 წლის N56 ხელშეკრულების ფარგლებში აუნაზღაურდა **810** კვ. მ ჰიდროსაიზოლაციო მასალის მოწოდების ღირებულება **4698** ლარი, ხოლო შპს „მერქანი"-ს 07.02.2024 წლის N57 ხელშეკრულების ფარგლებში **1,5** კბ. მ დახერხილი ხის მასალის ღირებულება **1275** ლარი. აღნიშნული სახსრები გამოიყო ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან 26.02.2024 წლის ბ44.442405748 ბრძანების საფუძველზე

მიმდინარეობს:

ხარებავას ქ. №52 -ში მდებარე სპორტული დარბაზის რეკონსტრუქცია (საქართველოს მთავრობის განკარგულებ # 2402 . 2023.12.28).

პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს 3 საინფორმაციო და 4 მემორიალური დაფაის მოწყობის სამუშაოები.

განხორციელდა დ. ბერძენაძის N26-ის და ვაჟა-ფშაველას N140 საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია .

განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილების და პარაპეტის რეაბილიტაცია. რეაბილიტირებული ობიექტებია: ავტომშენებლის N10; ავტომშენებლის 1-შეს. N2, ნიკეას ქ. N19/96, ნიკეას მე-2 შეს. N2, სოლომონ 1-ის N4 და ახალგაზრდობის გამზ. მე-5 შეს. N15ა. ინდ. მეწარმე მიხეილ დგებუაძეს 11.08.2023 წლის N366 ხელშეკრულების ფარგლებში აუნაზღაურდა **40398,39** ლარი (2023 წლის ვალდებულება). რეაბილიტირებული ობიექტებია: ი. ჭავჭავაძის N34; ი. ჭავაჭავაძის N25; აღმაშენებლის N41; ხუნდაძის N54; რუსთაველის გამზ. N85 და ლესელიძის N3.

დასრულდა ნიკეას მე-2 შეს. N7ა (მე-სად.); ი. ჭავჭავაძის გამზ. N59 (მე-2 სად.); წერეთლის N111 (მე-2 სად.); აღმაშენებლის გამზ. N5 (1-ლი სად.); აღმაშენებლის გამზ. N5 (მე-2 სად.); აღმაშენებლის გამზ. N5 (მე-3 სად.); ი. ჭავჭავაძის N15 (1-ლი სად.) სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია.

დასრულდა კოსტავას მე-3 ჩიხი N18-ში საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაციის ღირებულება **8074,34** ლარი და შოთა რუსთაველის გამზ. N114-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მე-2 სადარბაზოს სახურავის რეაბილიტაციი-ის სამშაოები

მიმდინარეობს ჭიჭიკო იოსელიანის ქუჩა N13ც-ში მდებარე (ყოფ. ტაბიძის ქუჩა N38) შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამშაოები

მიმდინარეობს **43200** კვ. მ ჰიდროსაიზოლაციო მასალის, **3800** კვ. მ გოფრირებული და **2200** კვ. მ ფურცლოვანი თუნუქის შეძენის მიზნით სამუშაოები''.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების.ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ,ქალბატონი **თინათინ ბერომვილი :** ,,2024 წლის პირველ კვარტალში ელექტრონული აუქციონის ფორმით გასხვისდა 7 ერთეული უძრავი ქონება (მათ შორის 3 (სამი) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა; 4 (ოთხი) ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ბიუჯეტში მობილიზებულია 1 796 725.00 (ერთი მილიონ შვიდასოთხმოცდათექვსმეტი ათას შვიდასოცდახუთი ლარი). 2023 წლის პერიოდში პირობით გასხვისებული ქონების საფუძველზე ბიუჯეტში ჩაირიცხა საბოლოო თანხის ნაწილი 287 585 (ორასოთხმოცდაშვიდი ათას ხუთასოთხმოცდახუთი) ლარი.

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების გასხვისებით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 610 954.00 (ექვსასათიათას ცხრაასორმოცდათოთხმეტი) ლარი.

2024 წლის თებერვლის თვეში დადგენილი იქნა მიწის ნორმატიული ფასი.

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიაში 2024 წელს იანვრიდან სულ შემოსულია 50 განცხადება/მომართვა, გაცემული იქნა 9 (ცხრა) საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა, 6 (ექვსი) ერთეულმა ვერ დააკმაყოფილა კანონმდებლობის მოთხოვნები, ასევე კომისიაში შემოსულ განცხადება/მომართვებზე კომპეტენციის ფარგლებში გაცემული იქნა წერილობითი პასუხი. ნაწილზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ბიუჯეტში მობილიზებული იქნა 9211, 20 ლარი.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისა და დარგის ექსპერტებთან ერთად შემუშავდა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტი 2030. სამსახურის უშუალო კოორდინაციით მომზადდა „მდგრადი განვითარების მიზნების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის დოკუმენტის" ყოველწლიური მონიტორინგის და ანგარიშგების კონსოლიდირებული დოკუმენტი. ქუთაისის მუნიციპალიტეტი პირველი ქალაქია, რომელმაც ანგარიში მოამზადა და წარადგინა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოზე.

სამსახური კოორდინაციას უწევს საგრანტო პროექტით მუნიციპალიტეტის ტრანსფორმაციის პორტფელი - ქუთაისი ეკო-სმარტ ქალაქი დაგეგმილი საცდელი ინტერვენციების განხორციელებას ქალაქის ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში დღეის მდგომარეობით ქალაქში ინსტალირებულია ელექტრომობილების დამტენი 4 წერტილი ორ ლოკაციაზე, 7 ლოკაციაზე თანამედროვე დიზაინის სეპარირების კიოსკები სამ სამი ერთეული. დასრულდა საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და მიმდინარეობს ღონისძიებები მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანიის შენობის მწვანე ენერგოეფექტურ შენობად გარდასაქმნელად, სადაც დაინსტალირდება 100 კილოვატიანი მზის ფოტოვოლტაიტური პანელები და მოხდება კომპანიის მიერ მოხმარებული ჰიდროენერგიის 100 % განახლებადი მზის ენერგიით ჩანაცვლება. ეს სადემონსტრაციო ინტერვენციები საინტერესოა, როგორც მუნიციპალური სერვისების სრულყოფისათვის, ასევე ვქმნით ჩვენი საზოგადოებისა და ბიზნეს წრეებისათვის ახალ ინსპირაციებს, რათა მათ მოახდინონ საკუთარი ეკონომიკური ინტერესებისათვის მერიის მიერ დატესტილი კარგი პრაქტიკის დანერგვა.

ონლაინ სამუშაო შეხვედრა საერთაშორისო ვებინარში „კლიმატის მმართველობა, მწვანე გადასვლის წინაპირობები ქალაქის დონეზე". ორგანიზატორი DEMOS HELSINKI & UNDP. განხილული იქნა ახალი მიდგომები და ინსტრუმენტები ქალაქების დონეზე კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული რისკების შერბილებასა და ადაპტაციისთვის.

ონლაინ სამუშაო შეხვედრა ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის NALAG ექსპერტებთან. განხილული იქნა დეცენტრალიზაცია და მუნიციპალიტეტების როლი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიღწევებში.

სამსახური სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამის ფარგლებში სისტემატურად ღებულობს ქუთაისში არსებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს და უნივერსიტეტების პროგრამისა და სილაბუსების შესაბამისად ვახორციელებთ პრაქტიკულ და თეორიული ცოდნის მიწოდებას.

მეცნიერთა კავშირი სპექტრთან ერთად კოორდინაცია გავუწიეთ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „იდეათონის" ორგანიზებას, სადაც ახალგაზრდების 8 ჯგუფისაგან დაკომპლექტებული 35-მდე მონაწილე ორი დღის განმავლობაში მუშაობდა საკუთარი ინოვაციური და კრეატიული იდეების ფორმირებაზე ქუთაისი ეკო- სმარტ ქალაქის კონცეფციის მიმართულებით.

34-ე და 37-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებისა და პედკოლექტივის თხოვნის გათვალისწინებით შეიქმნა M3 კატეგორიის დროებითი სვლაგეზი, რომელიც უფასოდ ემსახურება მოსწავლეებს.

საგრანტო პროექტის „ინტეგრირებული ტრანსფორმაცია მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში ჩართული ვართ სამუშაო ჯგუფისა და კომისიების მუშაობაში, სადაც ხორციელდება მესამე მხარის ფინანსური მხარდაჭერა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების მიმართულების და ადგილობრივი ბიზნესის მხარდასაჭერად.

ამავე საგრანტო პროექტის ფარგლებში ვმონაწილეობთ ქუთაისის მეოთხე საერთაშორისო ფორუმის ორგანიზებაში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2019 წლიდან „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში. ფორუმი დაგეგმილია 2024 წლის 20-21 ივნისს და ეძღვნება მეორე დონის, საშუალო და მცირე ზომის ქალაქების შესაძლებლობების გაძლიერებას''.

დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** როგორც ცნობილია ,,ორმოცდაათი (50) განცხადებიდან საკუთრების უფლება გაცემულია 9-ზე, არ დაკმაყოფილდა 6 განცხადება.რა ბედი ეწია დანარჩენ ოცდათხუთმეტ (35) განცხადებას''?

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** ,,აღნიშნულ განცხადებებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება''.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე, ქალბატონი **მარეხი ნიჟარაძე:** ,, ძალიან სასიხარულოა ის ფაქტი,რომ მ/წლიდან სტაჟირება გახდა ანაზრაურებადი,თუმცა ამ პროგრამის მიმართ

ახალგაზრდების ინტერესი მუდამ დიდი იყო.საინტერესოა რამდენი სტაჟიორი გყავთ ამჟამად''?

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** ,,ამჟამად მხოლოდ ერთი(1) სტაჟიორი გვყავს''.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი, ბატონი **ბაქარ მახარაძე:** მოსახლეობის მხრიდან ხშირია სხვადასხვა უბნებში დამატებით სატრანსპორტო საშუალებების გამოყოფის თაობაზე მოთხოვნა.ეს საკითხი ჯერ კიდევ აქტუალური რჩება. ,,მაინტერესებს არსებული პრობლემების მოგვარებისთვის რა გზები დაისახა სამსახურმა?''

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების ,ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** ,,ტრანსპორტის სიმცირის გამო არ გვაქვს ყველა სვლაგეზი ათვისებული, აღმასრულებელს ყველა მოთხოვნა გაგზავნილი აქვს ცენტრალურ ხელისუფლებაში დამატებით M1 და M2 კატეგორიის ტრანსპორტის შეძენასთან დაკავშირებით. დაზუსტებული პასუხი ჯერ-ჯერობით მიღებული არ გვაქვს.''

ამით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნების" ოცდამეოთხე სხდომამ მუშაობა დაასრულა და ფრაქციის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე

მ. ნიჟარაძე